სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება

№29

ქ. ოზურგეთი 13 აპრილი 2018 წელი

ერთის მხრივ შპს „სატისი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ცერცვაძის სახით და მეორეს მხრივ, ფ.პ. თენგიზ მალაზონიას (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის „ს[1]“ პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

2.1. **CPV50500000 - ტუმბოების, სარქველების, ონკანებისა და ლითონის კონტეინერების, ასევე, მანქანა-დანადგარების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (4950 ლარი).**

2.2. **CPV98300000 - სხვადასხვა მომსახურება (4950 ლარი).**

„მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს „შემსყიდველის“ კუთვნილ ექსკავატორის MT3 სახელმწიფო ნომრით CA537,მომსახურება (მომსახურებისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილებით) მოთხოვნის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესყიდვის ფასი განისაზღვრება ლარებში;

3.2. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 9900(ცხრა ათას ცხრაასი) ლარს ;

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივარ მომსახურებისნაწილობრივ მიწოდების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;

4.2. დაფინანსების წყარო ადგილობრივი თვითმართველობის ბიუჯეტი;

4.3. აანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის სრული მიწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღეში.

4.4. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს შპს „სატისი"–ის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

6. მომსახურების მიწოდების პირობები

6.1. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს 2018 წლის 23 აპრილის ჩათვლით.

6.2. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მისამართზე: სოფ.გურიანთა

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი;

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლის" მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს „შემსყიდველს" თანხის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.4. „მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის დასახელება, ღირებულება, ჯამური თანხა, ხელშეკრულების რეკვიზიტები, მიღება–ჩაბარების გაფორმების თარიღი და ადგილი. შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს შპს „სატისი"–ის დირექტორი დავით ცერცვაძე.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისშესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების

9.2. 0,5%–ის ოდენობით;

9.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, „მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%–ის ოდენობით;

9.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%, „შემსყიდველი“ იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

9.6. ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო და პირგასამტეხლოს თანხები დაუკავდება „მიმწოდებელს“ მოწოდებული საქონლის ღირებულებიდან, იმ შემთხვევაში თუ საქონელი არ იქნება მიწოდებული „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველის“ მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გადაიხადოს შესაბამისი თანხა „შემსყიდველის“ სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გაწეული მომსახურების ღირებულება ნაკლებია საჯარიმო თანხაზე „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველის“ მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გადაიხადოს „შემსყიდველის“ სასარგებლოდ საჯარიმო თანხებსა და გაწეული მომსახურების ღირებულებას შორის არსებული სხვაობა „შემსყიდველის“ სასარგებლოდ.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

10.2. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია 10.2 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს;

10.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 23 მაისისი ჩათვლით.

12. ფორს–მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოების შედეგი;

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს–მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

12.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 (სამი) დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ;

12.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს–მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტათ მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. დამატებითი პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

14.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
შპს „სატისი“
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გურიანთის
ადმინისტრაციული ერთეული ქუჩა №01
ადმინისტრაციული შენობა №111
ს/კ437066201
სს ,,ლიბერთი ბანკი"
კოდი: LBRTGE22
ა/ა GE15LB0113190212510000

დავით ცერცვაძე
დირექტორი

მიმწოდებელი:
ფ/პ თენგიზ მალაზონია
მის.: სოფ. გურიანთა
ს/კ: 33001071098
სს ,,ლიბერთი ბანკი"
კოდი: LBRTGE22
ა/ა GE15LB0711180977663000

თენგიზ მალაზონია
ფ/პ

დასახელება		ტექნიკური მახასიათებლები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
165 კვ ძრავის ჩახვევა			კვ	165	30,00	4950,00
წინა დანის აღდგენა სიმძლავრის დამატებით,უკანა კოვშის ახალი 40-იანის გაკეთება და უკანა სტრელის აღდგენა.						4950,00
ჯამი სულ						9900,00

შემსყიდველი:
შპს „სატისი"

მიმწოდებელი:
ფ/პ თენგიზ მალაზონია

დავით ცერცვაძე
დირექტორი

თენგიზ მალაზონია
ფ/პ